

შპს თელავი დისტრილერი

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური
ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისთვის

შპს „თელავი დისტილერი“

შინაარსი

	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-4
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგება:	
სპეციალური დანიშნულების წინასწარი მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	5
სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სპეციალური დანიშნულების წინასწარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	7
სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8
სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10-23

შპს „თელავი დისტილერი“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „თელავი დისტილერი“ (შემდეგში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით, 2018 წლის 31 დეკემბერი, დასრულებული წლისათვის, მე-2 შენიშვნაში მოცემული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლის შესაბამისად.

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას, რაც მას საშუალებას მისცემს უზრუნველყოს კომპანიის სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა მე-2 შენიშვნაში მოცემულ ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლებთან;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2019 წლის 16 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ლაშა გავაშელი
გენერალური დირექტორი

თბილისი, საქართველო
2019 წლის 16 სექტემბერი

ნინო შუბითიძე
მთავარი ბუღალტერი

თბილისი, საქართველო
2019 წლის 16 სექტემბერი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თელავი დისტილერის“ (შემდეგში „კომპანია“) მფლობელებსა და მენეჯმენტს:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს შპს „თელავი დისტილერის“ (შემდგომში „კომპანია“) თანდართული სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების წინასწარი მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას, სპეციალური დანიშნულების წინასწარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებასა და სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, ასევე სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე აღწერის ჩათვლით (მთლიანობაში - „სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგება, გარდა წინამდებარე დასკვნის ქვეთავში „პირობითი დასკვნის საფუძველი“ აღწერილი საკითხის გავლენისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, მე-2 შენიშვნაში მოცემული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლის შესაბამისად, სადაც კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს სტანდარტები) საფუძველზე, მათ შორის დაშვებები, რომლებიც ხელმძღვანელობამ გააკეთა იმ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებზე, რომლებიც მოსალოდნელია, რომ ძალაში იქნება და ასევე პოლიტიკაზე, რომელსაც მოსალოდნელია, რომ მიიღებენ, როდესაც ხელმძღვანელობა 2019 წლის 31 დეკემბრის მსს ფასს სტანდარტების შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებას პირველად მოამზადებს.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორად 2019 წლის 20 მაისს დავგნიშნეს, შესაბამისად მარაგის ფიზიკურ დათვლას არ დავსწრებივართ. ჩვენ ვერ შევძელით 2018 წლის 1 იანვარს მარაგის რაოდენობის ალტერნატიული გზით დადგენა. რადგან მარაგის საწყისი ნაშთი გამოიყენება ფინანსური მდგომარეობისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრისთვის, ვერ შევძელით იმის განსაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები სპეციალური დანიშნულების წინასწარ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ასახულ ზარალსა და სპეციალური დანიშნულების წინასწარ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ანგარიშგებულ წმინდა ფულად სახსრებთან დაკავშირებით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა სხვა ეთიკურ მოთხოვნებს პბეკ კოდექსის სტანდარტებით. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი – ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი და შეზღუდვა გამოყენებაზე

თქვენს ყურადღებას გავამახვილებთ ფაქტზე, რომ სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტების საფუძველზე მომზადებაზე გადასვლასთან დაკავშირებით. მე-2 შენიშვნაში ახსნილია რატომ არის შესაძლებელი, რომ წინამდებარე სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგება კორექტირებებს საჭიროებდეს იმისათვის, რომ იყოს მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადებული საბოლოო ფინანსური ანგარიშგება.

უფრო მეტიც, თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ ფაქტს, რომ მსს ფასს სტანდარტების მიხედვით მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, შესადარის ფინანსურ ინფორმაციასა და განმარტებით შენიშვნებს, მეშვეობით არის შესაძლებელი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, ოპერაციების შედეგებისა და ფულადი ნაკადების სამართლიანად წარდგენა მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად. შედეგად, წინამდებარე სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არ იყოს შესაფერისი სხვა მიზნით გამოყენებისათვის.

წინამდებარე დასკვნა განკუთვნილია მხოლოდ კომპანიის მიერ გამოსაყენებლად ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტების საფუძველზე მომზადებაზე გადასვლასთან დაკავშირებით და ასევე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონთან კომპანიის შესაბამისობის მიზნებისათვის. წინამდებარე დასკვნა მომზადებული არ არის რომელიმე სხვა მესამე მხარისთვის და ამ დასკვნასთან დაკავშირებით ჩვენ არ ვიღებთ რაიმე პასუხისმგებლობას ან ვალდებულებას ნებისმიერი მხარის წინაშე, გარდა კომპანიისა თუ რომელიმე მესამე მხარე გადაწყვეტილებებს მიიღებს ამ დასკვნის შინაარსის საფუძველზე, მაშინ ამ გადაწყვეტილებებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება აღნიშნულ მესამე მხარეს. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების მოვალეობები სპეციალური დანიშნულების წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა მოვალეა მოამზადოს სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მე-2 შენიშვნაში მოცემული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით აზრით, აუცილებელია ისეთი სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს კომპანიის უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძველიანი რწმენა, რომ სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით

გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ სპეციალური დანიშნულების წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერაუქმების რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერაუქმების რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით მოქმედება;
- ვაფასებთ სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება სპეციალური დანიშნულების წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ტრანსაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმვით შინაარსსა და გარიგას, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.



სტიუარტ ლეიტონი
შპს დელოიტი და ტუშის სახელით

2018 წლის 16 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

შპს „თელავი დისტილერი“

**სპეციალური დანიშნულების წინასწარი მოგებისა და ზარალის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)**

	შენიშვნები	2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წელი
შემოსავალი	4	2,122,940
რელიზაციის თვითღირებულება	5	(1,735,169)
მთლიანი მოგება		387,771
გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები	6	(56,448)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(472,486)
ფინანსური შემოსავალი		10,504
ფინანსური ხარჯები		(223,106)
საგრანტო შემოსავალი	14	117,002
სავალუტო შემოსულობა, ნეტო		248,610
სხვა შემოსავალი, ნეტო		11,647
მოგება დაბეგრამდე		23,494
მოგების გადასახადის ხარჯი		(12,473)
წლის მოგება		11,021

ხელმძღვანელობის სახელით:

ლაშა გავაშელი
გენერალური დირექტორი

თბილისი, საქართველო
2019 წლის 16 სექტემბერი

ნინო შუბითიძე
მთავარი ბუღალტერი

თბილისი, საქართველო
2019 წლის 16 სექტემბერი

10-23 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თელავი დისტილერი“

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშნე ბი	2018 წ. 31 დეკემბერი	2018 წ. 1 იანვარი
აქტივები:			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	8	2,706,407	2,825,897
საინვესტიციო ქონება	9	498,999	288,489
არამატერიალური აქტივები		3,009	3,655
გაცემული სესხები	10	157,721	80,815
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,366,136	3,198,856
მიმდინარე აქტივები:			
მარაგები	11	516,755	1,103,729
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	418,157	140,162
გადახდილი ავანსი		35,354	18,577
ანაზღაურებადი და წინასწარ გადახდილი გადასახადები, ნეტო		22,920	46,764
ფული და ფულის ექვივალენტები		296	29,473
სულ მიმდინარე აქტივები		993,482	1,338,705
სულ აქტივები		4,359,618	4,537,561
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი:			
საკუთარი კაპიტალი	13	7,124,331	378,876
დაგროვილი ზარალი		(4,302,299)	(4,313,320)
სულ კაპიტალი		2,822,032	(3,934,444)
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
აღებული სესხები	14	1,078,737	7,816,119
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,078,737	7,816,119
მიმდინარე ვალდებულებები			
აღებული სესხები	14	258,631	428,953
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	15	187,745	226,933
მოგების გადასახადის კრედიტორული დავალიანება		12,473	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		458,849	655,886
სულ ვალდებულებები		1,537,586	8,472,005
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,359,618	4,537,561

ხელმძღვანელობის სახელით:

ლაშა გაგაშელი
 გენერალური დირექტორი

ნინო შუბითიძე
 მთავარი ბუღალტერი

თბილისი, საქართველო
 2019 წლის 16 სექტემბერი
 10-23 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თელავი დისტილერი“

სპეციალური დანიშნულების წინასწარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნე ბი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელ ი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წ. 1 იანვარს		378,876	(4,313,320)	(3,934,444)
შენატანები მფლობელის მიერ წლის მოგება	13	6,745,455	-	6,745,455
		-	11,021	11,021
ნაშთი 2018 წ. 31 დეკემბერს		7,124,331	(4,302,299)	2,822,032

ხელმძღვანელობის სახელით:

 ლაშა გაგაშელი
 გენერალური დირექტორი

 ნინო შუბითიძე
 მთავარი ბუღალტერი

თბილისი, საქართველო
 2019 წლის 16 სექტემბერი

თბილისი, საქართველო
 2019 წლის 16 სექტემბერი

10-23 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თელავი დისტილერი“

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგრამდე		23,494
კორექტირებები:		
ფინანსური შემოსავალი		(10,504)
ფინანსური ხარჯები		223,106
დათვლის შედეგად გამოვლენილი ჭარბი მარაგი		(7,913)
გადახდილი ავანსზე აღიარებული გაუფასურების ზარალი	7	11,518
ცვეთა და ამორტიზაცია		416,729
მარაგების ჩამოწერა	7	79,508
უცხოური ვალუტის გაცვლით მიღებული წმინდა შემოსულობა		(248,610)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე		487,328
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები::		
სავაჭრო მოთხოვნების ზრდა		(257,795)
გადახდილი ავანსების ზრდა		(28,295)
მარაგის შემცირება		515,379
გადასახადების, მოგების გადასახადის გარდა, კრედიტორული დავალიანების შემცირება		23,844
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების შემცირება		(71,495)
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		668,966
გადახდილი პროცენტი		(158,504)
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი სახსრები		510,462
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
კაპიტალური დანახარჯები ძირითად საშუალებებზე	8	(276,798)
კაპიტალური დანახარჯები საინვესტიციო ქონებაზე	9	(230,951)
გაცემული სესხები		(100,670)
გაცემული სესხების დაფარვა		38,254
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(570,165)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
შემოსავალი აღებული სესხებიდან		838,253
აღებული სესხების დაფარვა		(1,107,004)
კაპიტალის შენატანები	13	298,643
ფინანსური საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		29,881
წმინდა შემცირება ფულსა და ფულის ექვივალენტებში		(29,822)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		29,473
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულადი სახსრების ნაშთზე		53
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		296

ხელმძღვანელობის სახელით:

ლაშა გაგაშელი

გენერალური დირექტორი

თბილისი, საქართველო

2019 წლის 16 სექტემბერი

10-23 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ნინო შუბითიძე

მთავარი ბუღალტერი

თბილისი, საქართველო

2019 წლის 16 სექტემბერი

შპს „თელავი დისტილერი“

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „თელავი დისტილერი“ (შემდეგში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც 2014 წლის 1 ოქტომბერს დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისამართია საქართველო, თბილისი, შინდისელი გმირის ქ. #6ა.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ბრენდისა წარმოება, ალკოჰოლის რეალიზაცია და დისტრიბუცია საქართველოში და საზღვარგარეთ.

2018 წლის 30 იანვარს კომპანიის 100%-იანი წილი შეიძინა შპს „სმარტ კაპიტალ შილდამ“, რომელიც საქართველოში, თბილისშია რეგისტრირებული.

2018 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 1 იანვარს კომპანიას შემდეგი აქციონერები ფლობდნენ:

აქციონერის სახელი	2018 წ. 31 დეკემბერი	2018 წ. 1 იანვარი
პაპუნა სვანიძე	-	100%
შპს სმარტ კაპიტალი	100%	-

2018 წლის 31 დეკემბერს კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი აქციონერი იყო მიხეილ ჩხარტიშვილი.

2. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი – წინამდებარე სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, კომპანიის მიერ 2019 წლის 31 დეკემბერს მასს ფასს სტანდარტების მიღების ფარგლებში, მასს ფასს სტანდარტების 35-ე ნაწილის, „მსს ფასს-ზე გადასვლა“, მოთხოვნების შესაბამისად. წინამდებარე სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაცია არ მოიცავს შესაძარის ინფორმაციას გადასვლის თარიღამდე, რომელიც არის 2018 წლის 1 იანვარი, პერიოდების შესახებ. კომპანიას ადრე არ მოუზადებია ფინანსური ანგარიშგება რაიმე ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად. ამიტომ, გასული პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებასთან შეჯერება მოცემული არ არის ამ სპეციალური დანიშნულების წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებაში. ამ სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგების მიზანია შესაძარის ინფორმაციის შექმნა 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების პაკეტისთვის.

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. როგორც წესი, პირვანდელი ღირებულება ემყარება აქტივის სანაცვლოდ მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას.

ფუნქციონირებადი საწარმო - წინამდებარე სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მიერ მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია საქმიანობას განაგრძობს, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო, რაც გულისხმობს, რომ კომპანია საპროგნოზო მომავალში შეძლებს თავისი აქტივების რეალიზებასა და თავისი ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას.

2018 წლის 31 დეკემბერსა და 2018 წლის 1 იანვარს კომპანიას ჰქონდა დაგროვილი ზარალი 4,302,299 ათასი ლარი და 4,313,320 ათასი ლარი, შესაბამისად. კომპანიის მენეჯმენტს სჯერა, რომ თანდართული სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგების ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე მომზადება შესაფერისია შემდეგი მიზეზების გამო:

- კომპანია ჯერ კიდევ ინვესტირების ეტაპზეა და მენეჯმენტს სჯერა, რომ კომპანიის სამომავლო გეგმები და ოპერაციები თანმიმდევრულია და კომპანიის ოპერაციების განხორციელებისა და ფუნქციონირებადი საწარმოს სახით ოპერირების საშუალებას უზრუნველყოფს საპროგნოზო მომავალში;

შპს „თელავი დისტილერი“

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ქართულ ლარში)

- კომპანიას დადებითი საბრუნავი კაპიტალი ჰქონდა 2018 წლის 31 დეკემბერსა და 2017 წლის 31 დეკემბერს, 534,633 ლარი და 682,819 ლარი, შესაბამისად. ამასთან, 2018 წელს კომპანიამ შეძლო კარგი საოპერაციო ფულადი ნაკადების წარმოქმნა, 510,462 ლარის ოდენობით;
- საბოლოო მფლობელი – მიხეილ ჩხარტიშვილი გამოხატავს თავის ერთგულებას კომპანიის ოპერაციების დაფინანსების გაგრძელებისადმი. აღნიშნულის მტკიცებულებაა საბოლოო მფლობელის მიერ წლის განმავლობაში კაპიტალში შენატანები;
- 2019 წლის 8 ივლისს კომპანიამ ოფიციალური ვალდებულება მიიღო აქციონერისგან, ბატონი ჩხარტიშვილისგან საოპერაციო საქმიანობის მხარდაჭერასა და ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფის მეშვეობით.

უცხოური ვალუტა - კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი ("ლარი"). სამუშაო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში (უცხოურ ვალუტაში) განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ამ ოპერაციების თარიღით არსებული სავალუტო კურსების მეშვეობით. უცხოურ ვალუტებში გამოსახული ფულადი მუხლები ყოველი საანგარიშგებო თარიღით გადაიყვანება საანგარიშგებო თარიღით არსებული კურსით. სავალუტო სხვაობებიდან წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობები და ზარალი აისახება წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

კომპანიის მიერ სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგია:

	2018 წ. 31 დეკემბერი	2018 წ. 1 იანვარი
ლარი/აშშ დოლარი	2.6766	2.5922
ლარი/ევრო	3.0701	3.1044

ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩაითვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ხარჯები შემოსავლიდან სპეციალური დანიშნულების წინასწარ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში არ იქვითება, თუ ამის ვალდებულებას ან უფლებას რომელიმე სტანდარტი ან ინტერპრეტაცია არ აწესებს ან არ არის განმარტებული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.

შემოსავლის აღიარება

კომპანია შემოსავალს აღიარებს, როდესაც: შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოვა საწარმოში და დაკმაყოფილებულია სპეციფიკური კრიტერიუმები კომპანიის თითოეული საქმიანობისათვის, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი.

(ა) შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან

კომპანია აწარმოებს და საბითუმო ბაზარზე ყიდის კონიაკის პროდუქციის სპექტრს. საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი აღიარდება საქონლის მიწოდებისა და მასზე უფლებების გადაცემის შემდეგ, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა დაკმაყოფილებულია:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანია აღარ ინარჩუნებს გაყიდული საქონლის ფლობასთან დაკავშირებული ხარისხის მენეჯერულ მონაწილეობას ან მასზე ეფექტურ კონტროლს;
- შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია;

- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის მიმღები იქნება კომპანია; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების ოდენობის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

(b) შემოსავალი ჩამოსხმის მომსახურებიდან

შემოსავალი წარმოადგენს კომპანიის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას გაწეული მომსახურებისათვის მისაღები შემოსავლის სამართლიან ღირებულებას. შემოსავალი არ აღიარდება მანამ, სანამ მომსახურება არ გაეწევა მომხმარებელს.

(c) საიჯარო შემოსავალი

საინვესტიციო ქონებიდან საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება საიჯარო ვადის განმავლობაში და აისახება „შემოსავალში“.

იჯარა - იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება, როდესაც იჯარის პირობებით საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი მოიჯარეს გადაეცემა. ყველა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახდელები ხარჯის სახით აღიარდება წრფივი მეთოდით, საიჯარო ვადის განმავლობაში. პირობითი საიჯარო გადასახდელები, რომელიც წარმოიქმნება საოპერაციო იჯარის ფარგლებში, ხარჯის სახით აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც ეს ხარჯი გაიწევა.

გადასახადები - ქართული კანონმდებლობით, რომელიც საანგარიშგებო თარიღით ძალაშია ან არსებითად ძალაშია, გათვალისწინებულია მოგების გადასახადით დაბეგვრა. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით. ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს 15%-იანი განაკვეთით ერიცხებოდათ მოგების გადასახადი იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიცემოდა.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესები ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან, ვრცელდება კომპანიაზე და საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან. განაწილებული მოგების გარდა სხვა გადასახადი, როგორც ზემოთ იყო აღწერილი, აღირიცხება სპეციალური დანიშნულების წინასწარი მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში „საგადასახადო ხარჯები“.

დაბეგვრის კონცეფციის აღნიშნული ცვლილების გამო ტერმინი, აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრი ბაზა, კარგავს თავის ეკონომიკურ მნიშვნელობას და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები არ ვრცელდება ახალი დაბეგვრის მოდელის ფარგლებში.

ძირითადი საშუალებები - ძირითადი საშუალებები აღრიცხულია პირვანდელი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება მოიცავს მის (ა) შესყიდვის ფასს, მათ შორის საბაჟო გადასახადს და აუნაზღაურებად შესყიდვის გადასახადს, სავაჭრო ფასდაკლებებისა და ფასდათმობების გამოქვითვის შემდეგ; (ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რაც აუცილებელია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სახით აქტივის მოხმარებისთვის საჭირო ადგილზე განთავსებისა და საჭირო მდგომარეობაში მოყვანისთვის; (გ) აქტივის დემონტაჟის, გატანისა და ტერიტორიის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას; და (დ) მოვალეობას, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის მიერ აქტივის შეძენის შემდეგ ან გარკვეულ პერიოდში აქტივის მარაგის წარმოების გარდა სხვა მიზნით გამოყენების შედეგად; და (ე) კვალიფიციური აქტივებისათვის, ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში ცვეთადი ღირებულების ჩამოსაწერად და გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. ქვემოთ მოცემულია სასარგებლო მომსახურების ვადები ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები	5%
ავეჯი და მოწყობილობები	20%
საოფისე მოწყობილობები	20%
მანქანა-დანადგარები	5-20%
სხვა	20%

ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალების თვითღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე იმ ასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღრიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით.

საინვესტიციო ქონება - საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც ფლობილია საიჯარო გადასახდელების წარმოსაქმნელად და/ან კაპიტალის ფასის გაზრდისთვის (მათ შორის მსგავსი მიზნებისთვის განკუთვნილი დაუმთავრებელი მშენებლობა). საინვესტიციო ქონება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება, გარიგების დანახარჯების ჩათვლით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ საინვესტიციო ქონება აღრიცხება პირვანდელი ღირებულებით, შემცირებული ნებისმიერი დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით.

საინვესტიციო ქონებას ცვეთა ერიცხება, რათა ცვეთადი თანხა ჩამოიწეროს აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და გამოითვლება წრფივი მეთოდით. საინვესტიციო ქონების შენობებისა და ნაგებობების ჯგუფის ცვეთის განაკვეთია 5%.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვისას ან ხმარებიდან სამუდამოდ ამოღებისას, როდესაც გაყიდვიდან სამომავლო სარგებლის მიღება მოსალოდნელი არ არის. ქონების აღიარების შეწყვეტიდან წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც სხვაობა აქტივის რეალიზებიდან წმინდა შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც მოხდა ქონების აღიარების შეწყვეტა.

არამატერიალური აქტივები - არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფა. ამორტიზაცია წრფივი მეთოდით აღიარდება მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანიის მიერ ფლობილი არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადაა 5 წელი.

მარაგი - მარაგი აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში მარაგის სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები - პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობითი აქტივები აღიარდება მხოლოდ პირობითობის საკითხის გადაჭრის შემდეგ.

ფინანსური ინსტრუმენტები - ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია გახდება მოცემული ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მონაწილე მხარე.

ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეთანხმება ფაქტობრივად წარმოადგენს დაფინანსების გარიგებას საწარმოსთვის (ფინანსური ვალდებულებისთვის) ან მისი პარტნიორისთვის (ფინანსური აქტივისთვის). შეთანხმება წარმოადგენს ფინანსურ გარიგებას, როდესაც გადახდა გადავადდება ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას გამოყენებულ ვადაზე ხანგრძლივად, მაგალითად, საქონლის გაყიდვისას უპროცენტო კრედიტის მიცემა მყიდველისათვის ან როდესაც დაფინანსება ხორციელდება საპროცენტო განაკვეთით, რომელიც საბაზრო განაკვეთს არ წარმოადგენს. თუ შეთანხმება დაფინანსების გარიგებას წარმოადგენს, მაშინ საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს სამომავლო გადახდების თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრული მსგავსი სავალ ინსტრუმენტის საბაზრო საპროცენტო განაკვეთით ახლანდელ ღირებულებამდე დისკონტირებული ღირებულებით.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ფინანსურ გრძელვადიან სავალ ინსტრუმენტებს აფასებს ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. სავალ ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე აქტივები ან მიმდინარე ვალდებულებები, ფასდება გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა ანაზღაურების არადისკონტირებული თანხით.

ფინანსური აქტივები - კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივებია ფულადი სახსრები, გაცემული სესხები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. ძირითადი გრძელვადიანი ფინანსური აქტივებია გაცემული სესხები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალ ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (მათ შორის ტრანზაქციის ხარჯების, სხვა პრემიუმებისა და ფასდათმობების და იმ გადახდილი ან მისაღები საკომისიოებისა და ქულების დისკონტირებას, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს) დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულს ბანკებში.

გაცემული სესხები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ კვოტირდება აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების გამოკლებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

სესხები და მოთხოვნები გაუფასურების შეფასება ხდება გაუფასურების ნიშნებისთვის ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. მიიჩნევა, რომ ფინანსური აქტივები გაუფასურებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ

მომხდარი ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად გავლენა განიცადა ამ ინვესტიციის შეფასებულმა სამომავლო ფულადმა ნაკადებმა.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება გაუფასურების ზარალით მცირდება ანარიცხების ანგარიშის მეშვეობით. როდესაც მიიჩნევა, რომ სავაჭრო მოთხოვნა ამოუღებელია, ის ჩამოიწერება ანარიცხის ანგარიშის საპირისპიროდ. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდეგში ამოღება დაკრედიტდება ანარიცხის ანგარიშზე. ანარიცხის ანგარიშის საბალანსო თანხის ცვლილებები აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიკრულებო უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ამოწურულია ან როდესაც ის აღნიშნულ ფინანსურ აქტივს და არსებითად აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს გადასცემს. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურებას შორის სხვაობა აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები - კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებასა და ნასესხებ სახსრებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის სხვაობა აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

შეტანილი კაპიტალი – შეტანილი კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

3. კრიტიკული შეფასებები და შეფასებების არასარწმუნოების უმთავრესი წყაროები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, რომელიც აღწერილია შენიშვნაში 2, მენეჯმენტს ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეიძლება შეფასებებისგან განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

